

ინსტიტუტის წარმატების მთავარი ხაზი სწორ მიზანსა და დიდ მონდომებაზე გადის

(ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის)

საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე განსახილველად გამოგვაქვს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე პირველად 2007 წელს დაისვა. უნდა გვემსჯელა დასმული კითხვის სამართლიანობაზე - აქვს თუ არა დიდ მეტალურგიას მომავალი საქართველოში? წარმოგიდგენთ ამონარიდს ჩვენი მაშინდელი გამოსვლიდან: „საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საწარმოები აღარ ამზადებს მისთვის ადრე დაგეგმილ პროდუქციას, გაჩერებული და გამარცხულია. ინდუსტრიული რეზერვები ამოწურულია. ბუნებრივია, საქართველომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, სხვა გზა უნდა აირჩიოს და შეცვალოს მეურნეობის განვითარების ვექტორი. ამასთან, არსებული მატერიალური სახსრები და ინტელექტუალური ძალები მიმართოს ქვეყანაში არსებული ტექნიკური განათლებისა და პროფესიული მომზადების არასაკმარისი დონის ასამაღლებლად.

განვითარდება თუ არა მომავალში დიდი მეტალურგია საქართველოში? დღეს ძნელად თუ იპოვით ისეთ სპეციალისტს, რომელიც შეძლებდა ამომწურავი და დასაბუთებული პასუხი გაეცა ამ კითხვაზე. გადაჭარბებული ოპტიმიზმი კი იქნებოდა „შიშველი“ ოპტიმიზმი და არა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით აღწერილი რეალური მდგომარეობა. დღეს ქართულ მეტალურგიას უჭირს - პრაქტიკულად არ არსებობს. ეს უდავო ფაქტია. ქვეყანაში არსებული ყველა მსხვილი მეტალურგიული საწარმოს „ნაშთი“ გაყიდულია და კერძო მფლობელობაშია გადასული. ისმის კითხვა, რისთვის უნდა დაიხარჯოს მეტალურგიული მიმართულებით კვლევებზე სახელმწიფოს ფინანსური სახსრები? რა გამოყენება ექნება კვლევების შედეგებს სახელმწიფოს სასარგებლოდ?

თუ მეტალურგიული საწარმოს მესაკუთრე დააფინანსებს მისთვის პრობლემური საკითხის მეცნიერულ კვლევებს კი ბატონო, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო. უმარტივესი რჩევა: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მწირი ფინანსური რესურსი ქვეყნისათვის არაფრის მომცემი მეტალურგიული მიმართულებებით კვლევებისათვის არ უნდა დაიხარჯოს. ფინანსები დინამიკურად უნდა გადანაწილდეს ყველაზე უფრო (ქვეყნისათვის აუცილებელი) პროგრესული - ახალი მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების მიმართულებებით. შედეგად ამალდება მანქანა-მოწყობილობების საიმედოობა და ხანმედეგობა, გაიზრდება წარმოების ინტენსიფიკაციის ხარისხი. გარდა ამისა, შესაძლებლობების ზღვრებში, მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო კვლევებისათვის აუცილებელი პროცესების პარამეტრების რეგისტრაციისა და მართვის უახლესი მოწყობილობების შემენას და სხვა...“

იმ დროს მრავალ მოწინავე ქვეყანაში მიმდინარეობდა (უახლესი და პროგრესული) ადიტიური წარმოების ინტენსიური განვითარება. წინადადება დაისვა ყურადღება გადაგვეტანა „ფხვნილოვან შენადნობთა“ მიმართულებით კვლევების წამოწყებისაკენ, რომელიც დიდ მატერიალურ და ენერგეტიკულ პრობლემას არ შექმნიდა. ამასთან, ჩვენი აზრით, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ორიენტაციას „გამადიდრებდა“ ახალი პროგრესული მიმართულებით. საკითხს მხარი დაუჭირა ღიად მხოლოდ ბატონმა ზურაბ მირიჯანაშვილმა. ამასთან კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია: რომ დიდი ხნის წინ ბატონი იური ქართველიშვილის ხელმძღვანელობით ქ-ნი ღია კობახიძე აწარმოებდა კვლევებს ფხვნილოვანი შენადნობების მისაღებად. სამწუხაროდ არც ერთს არ დასცალდა იდეის განხორციელება...

„ინსტიტუტის რეალური საქმიანობის ადეკვატური ასახვის მიზნით, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ საკმარის საფუძველს იძლევა ინსტიტუტის სახელწოდების

შეცვლის საკითხზე გვემსჯელა!“ ასეთი იყო ჩვენი წინადადებები ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე გამოსვლისას 2007 წელს. ეს წინადადებები „შეუმჩნეველი“ და პასუხგაუცემელი დარჩა!...

მეორედ საკითხი დაისვა, როდესაც საქართველოს განათლების მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის ქ-ნი ბელა წიფურას თავგამოდებით ღვაწლმოსილ ადმიანთა უკვდავსაყოფად სახელდებულ ინსტიტუტებს მიეცა ინგლისური ენის შესაბამისი და ქართული ენისთვის მიუღებელი დასახელებები (გამონაკლისი იყო მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც, ალბათ, ვერ „აკადრა“ სახელწოდების შეცვლა). ასეთი დასახელებებით იკარგებოდა იმ დამსახურების აღიარება, რომელსაც ღვაწლმოსილი პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად მთავრობა (ხალხის სახელით) ანიჭებდა ამა თუ იმ ორგანიზაციას. მრავალმა ინსტიტუტმა (დანართი 1), ხელმძღვანელობის ძალისხმევით, სამართლიანად აღიდგინა საკუთარი ინსტიტუტის „ძველი“ სახელწოდება. მათ შორის პირველი იყო არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

განმეორებით საკითხის დასმისას სამეცნიერო საბჭოს წევრებს მოვუწოდეთ - სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი იწოდოს „ფერდინანდ თავაძის სახელობის მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ინსტიტუტად“. ვინაიდან ქართული სიტყვათწყოა „ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“ ელიპსის წარმოადგენდა. თითქოს ყინული დაიძრა. მაშინდელი დირექტორი ბატონი გ. თავაძე შეეცადა ჩვენი მოსაზრების სისწორეში დარწმუნებულიყო. პირადად ვახლდი არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ინსტიტუტის ცნობილმა მეცნიერებმა იგივე გაუმეორეს. ამჯერადაც საკითხი უყურადღებოდ დატოვეს რეტროგად „მრჩეველთა“ გავლენით.

საკითხავია, „რატომ ვიყავით დაინტერესებული ასეთი ცვლილებისთვის?“ პასუხი მარტივია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ინსტიტუტი წარმოადგენდეს ინტელექტუალურ პიროვნებათა საკრებულოს!... ინსტიტუტის არასწორი დასახელების არსებობის ჩვენგან შეუმჩნეველობა კი, სამწუხაროდ, საპირისპიროზე მეტყველებდა. იყო მცდელობა დროზე დაგვეჩინა მრავალდისციპლინური კვლევების აუცილებლობა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „არალეგალურად“ ეს პროცესი ინსტიტუტში დაწყებულია). დამყარებულიყო წონასწორობა მრავალდისციპლინურ ფუნდამენტურ და გამოყენებით სფეროებს შორის. თვალშისაცემი იყო ფაქტი - სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთხოვნების გათვალისწინებით მეტალურგიული მიმართულებებით კვლევების აუცილებლობა თან და თან მცირდებოდა. (მაგ., ინსტიტუტში, ამჟამად, მიმდინარე 14 სამეცნიერო-კვლევითი თემიდან მხოლოდ ერთია „სუფთა“ მეტალურგიული)... ნათლად გამოიკვეთა დარგის დეგრადირება. სამთავრობო თუ სამოქალაქო დონეზე ხალხის რეაქცია მეტალურგიისადმი ნეგატიური იყო (გონიერი საზოგადოება ნათლად ხედავდა დიდი მეტალურგიის განვითარებისთვის აუცილებელი მინერალური და ენერგეტიკული რესურსების დეფიციტს). მათ გაღიზიანებას იწვევდა სიტყვა მეტალურგიის გაგონებაც კი. ჩვეულებრივი ადამიანები მას აღიქვამდა ქვეყანაში ეკოლოგიური სიტუაციის მთავარ მტრად და სხვა... ასეთ რეალობაში ინსტიტუტის დასახელებაში სიტყვა მეტალურგიის დომინანტად გამოტანა, რბილად რომ ვთქვათ, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა იყო. ისტორიულად, მეტალურგიული სამეცნიერო მიმართულებების ცვლილებების შესაბამისად, დროის მოთხოვნების გათვალისწინებით, ინსტიტუტის სახელწოდებაც იცვლებოდა. ასეთი ცვლილების მრავალი პრეცედენტი არსებობს. იხ. ინსტიტუტის დასახელებების ცვლილებების ქრონოლოგია, დანართი #2.

ამჟამად, კიდევ ერთხელ და, ალბათ, უკანასკნელად ვსვამთ საკითხს ინსტიტუტის სახელწოდების ცვლილების აუცილებლობაზე. ამ „მომაბეზრებელი“ საკითხის ხელახლა წამოწევისაკენ გვიბიძგა ა.წ. 20 – 21 მაისს ბატონ ჯონი ალანის დახმარებით „მოპოვებული“ გამოჩენილი მეცნიერ-

ლითონმცოდნის კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ უილიამ კანის წიგნის, „მასალათმცოდნეობის ჩამოყალიბების“, გაცნობამ. ბატონი რ. კანი წიგნში აანალიზებს მოვლენებს, რომლებიც მისი სიცოცხლის მანძილზე მისივე მონაწილეობით დაიწყო და განვითარდა. ის პირადად იცნობდა ამ მოვლენებში მონაწილე გამოჩენილ მეცნიერთა (ნობელის პრემიის ლაურეატების) უმეტეს ნაწილს, ზოგთან ერთად მუშაობდა კიდეც. ჩვენ ფრაგმენტულად მოვიყვანთ განსახილველ თემასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ფაქტებს.

წიგნის მნიშვნელობის შეფასებისას ავტორი აღნიშნავს „იგი დაიწერა მეცნიერების, ინჟინრებისა და მასალათმცოდნეობის ისტორიით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ის შეიძლება ჩაითვალოს ახლო მანძილიდან დანახული მასალათმცოდნეობის პუანტილისტურ პორტრეტად“. იქვე ამატებს: მიუხედავად იმისა, რომ წიგნი დიდი მოცულობისაა (ინგლისური ვარიანტი 560, რუსული 619 გვერდი) მე შევძელი **მსუბუქად შევხებოდი** მასალათმცოდნეობის მხოლოდ ზოგიერთ თემასო“...

მასალათმცოდნეობა (რომლის ფესვები მეტალურგიიდან და, კერძოდ ლითონმცოდნეობის წლების სიღრმეებიდან მოდის), ასე უწოდეს XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ახალ მეცნიერულ კონცეფციას აშშ-ში. ერთი ათწლეული დასჭირდა მასალათმცოდნეობის, როგორც დისციპლინის იდეის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას ქვეყანაში. 60-იან წლებში კი შეიქმნა მასალათმცოდნეობის საუნივერსიტეტო, სასწავლო-სამეცნიერო და სამრეწველო ლაბორატორიების ფართო ქსელი. ბატონი რ. კანის აზრით მსოფლიოს სხვა ქვეყნები აშშ-ს ჩამორჩა მინიმუმ ერთი ათწლეულით...

წიგნიდან ვგებულობთ, რომ პირველად უნივერსიტეტების კათედრების (აშშ-ში უნივერსიტეტების კათედრები უთანაბრდება სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან არსებულ კვლევით ინსტიტუტებს) დასახელებაში სიტყვა „მასალათმცოდნეობა“ ჩნდება ილინოისის შტატის „ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში“. მეტალურგი მორის ფაინი მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობის დაკავებისას საპროგრამო სიტყვაში გამოთქვამს სურვილს ითანამშრომლოს სხვა კათედრებთან მასალათმცოდნეობის პროგრამის განსახორციელებლად. ამავე კათედრის თანამშრომელმა ჯეკ ფრენკელმა ახლებურად გააზრებული საკუთარი სალექციო კურსის საფუძველზე დაწერა წიგნი - „შესავალი მასალების თვისებებზე“. იგი იქცა საკვანძო ელემენტად უნივერსიტეტში მასალათმცოდნეობის, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბება-განვითარებაში. აღნიშნული კურსი უნივერსიტეტის ზოგი კათედრის მიერ შეტანილი იქნა „სპეციალური კურსის“ სტატუსით.

საინტერესოა, 1958 წლის დასაწყისში მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანისადმი განსახილველად წარდგენილი დოკუმენტი - „**მასალათმცოდნეობის მნიშვნელობა**“, რომელშიც გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრება: „**ტრადიციულად მასალათმცოდნეობა ვითარდებოდა რამდენიმე ცალკეული დისციპლინის - მყარი ტანის ფიზიკის, მეტალურგიის, პოლიმერების ქიმიის, არაორგანული ქიმიის მინერალოგიის, მინისა და კერამიკის ტექნოლოგიების ჩარჩოში. მთლიანი მეცნიერების ეს ხელოვნური დაყოფა ცალკეულ ნაწილებად მასალათმცოდნეობისა და ტექნოლოგიების განვითარებას ეწინააღმდეგება**“. 1958 წლის დეკემბერში უნივერსიტეტის მეტალურგიის ფაკულტეტის წარმომადგენელთა კრება აბსოლუტური უმრავლესობით იწონებს და იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მეტალურგიის კათედრას შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს „**მასალათმცოდნეობის კათედრა**“. 1959 წლის იანვარში კი უნივერსიტეტის ზედამხედველების მიერ გადაწყვეტილება მოწონებული იქნა.

1959 წლიდან აშშ-ს „ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში“ მასალათმცოდნეობის კათედრამ ასპირანტებისთვის ახალი დისციპლინის - მასალათმცოდნეობის სწავლება დაიწყო (აშშ-ში უნივერსიტეტების კათედრები ლექციებს უკითხავს მხოლოდ ასპირანტებს). პროცესი სწრაფად გავრცელდა სხვა უნივერსიტეტებშიც. ამასთან, ზოგი კათედრის დასახელებაში გაჩნდა

სიტყვათწყობა „მასალათმცოდნეობა და მეტალურგია“ ან „მასალათმცოდნეობა და მასალათა ინჟინერია“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში“ მეტალურგიის ფაკულტეტის წარმომადგენელთა კრების პარალელურად (იმავე დროს) ამერიკის პრეზიდენტთან არსებული მეცნიერების საკონსულტაციო კომიტეტი განაცხადებს „**უნივერსიტეტების მცდელობები შეიტანონ სწავლებაში ახალი დისციპლინა-მასალათმცოდნეობა მთავრობის დახმარებას საჭიროებსო**“.

ამ დისციპლინის იდეა სწრაფად გავრცელდა ამერიკულ უნივერსიტეტებში. თუმცა ზოგი ცნობილი მეცნიერი-მეტალურგი მაგ., ფ. მეილი გააფრთხილებით იცავდა ორთოდოქსალურ მიდგომას ლითონთმცოდნეობისადმი. აშშ-ში მასალათმცოდნეობის მდგომარეობის მონიტორინგის კომისიის 1974 წლის მოხსენებაში აღნიშნული იყო: „ამერიკაში მასალათმცოდნეობის მეცნიერებასთან დაკავშირებული ბაკალავრის ხარისხის მოსამზადებელი დაახლოებით ოთხმოცდაათი კურსია. მათგან სამოცამდე აკრედიტებული... ქვეყანაში დაახლოებით ორმოცდაათი ინსტიტუტია, რომლებიც მასალათმცოდნეობის სპეციალობის მოპოვების საშუალებას იძლევაო“.

მრავალრიცხოვანი დისკუსიების შემდეგ ქვეყანაში მეტალურგიის კათედრების დასახელება თან და თან იცვლებოდა „მასალათმცოდნეობაზე“ ან „მასალათმცოდნეობა და მასალათა ინჟინერიაზე“. დაახლოებით ანალოგიური სურათი ვლინდება ევროპაშიც.

ევროპაში მასალათმცოდნეობის ჩანასახების ანალიზისას ბატონი კანი დასძენს „1946 წლიდან ბირმინჰემის უნივერსიტეტის ლითონთმცოდნეობის კათედრაზე პროფესორ დენიელ ჰენსონის ხელმძღვანელობით ამ, სავარაუდოდ, ხარისხობრივი საგნის სწავლება გადაიქცა რაოდენობრივ და მკაცრად ჩამოყალიბებულ კურსად. აღან კოტრელისა და ჯეფრი რეინორის, ჯონ ეშებლისა და ფრენკ ნაზაროს ერთობლივი მუშაობის წყალობით, საფუძველი ჩაეყარა მასალათმცოდნეობის იმ იდეას, რომელიც მოგვიანებით ამერიკაში მოვიდა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდაო“.

მასალათმცოდნეობის დისციპლინად ჩამოყალიბებამდე ინდუსტრიული „კვლევა და განვითარების“ (Research and development - R&D) ლაბორატორიები დისციპლინათშორის იდეებს პრაქტიკაში უკვე იყენებდნენ. ეს შესაძლებელია ითქვას უილიამ შოკლის ჯგუფზე ტელეფონების კომპანია Bell-ის ნიუ-ჯერსისის, აგრეთვე, General Electric-ის სკენეკტადის (ნიუ-იორკის შტატი) ლაბორატორიების სისტემებში მიმდინარე სამუშაოებზე. მაგ., კომპანია Bell-ში ფიზიკოსებმა, ქიმიკოსებმა და მეტალურგებმა ერთად იმუშავეს გერმანიუმის და სილიციუმის, ნახევარგამტარების დამუშავების პრობლემაზე, ტრანზისტორებისა და დიოდების წარმოებისთვის. აქვე უილიამ პჰანმა პირველად განახორციელა ზონური დნობა და შესაძლებელი გახდა მედწიათ ნახევარგამტარი მასალებისათვის საჭირო სისუფთავისათვის. 1930-იან წლებში კომპანია დიუპონის კვლევით ცენტრში ერთობლივად მუშაობდნენ ქიმიკოსი-ორგანიკოსი კაროზერსი და ფიზიკოსი ფლორი. მათ წარმატებით შეავსეს ერთმანეთი და შედეგად შესაძლებელი გახდა ნეილონის წარმოება. ნობელის პრემიის ლაურეატები უილიამ კულიჯი და ირვინგ ლენგმიურის General Electric-ში ერთობლივი მუშაობის შედეგად აღწვევენ ჭედადი ვოლფრამის სრულყოფას ვარვარა ნათურებისთვის. ამ ლაბორატორიაში სამეცნიერო აღმოჩენა-გამოგონებათა უმეტესობა დაკავშირებული იყო მასალათმცოდნეობასთან. 1946 წელს ლაბორატორიაში მუშაობას იწყებს შორსმხედველი და ენერგიული ჯონ ჰერბერტ ჰოლომონი. მან შეკრიბა დისციპლინათშორისი ჯგუფი, რომელმაც მეტალურგია გარდაქმნა ემპირიული ხელოვნებიდან ფიზიკისა და ქიმიის პრინციპებზე დაფუძნებული კვლევის სფეროდ.

წარმოშობის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მასალათმცოდნეობა იქცა მთელ მსოფლიოში გაბნეულ, მრავალდისციპლინურ საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევით მიმართულებად, საკუთარი

დამოუკიდებელი კათედრებით, ინსტიტუტებით, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ჟურნალებითა და სახელმძღვანელოებით.

მასალათმცოდნეობის დანიშნულებისა და მოქმედების არეალის განსაზღვრის ბატონი რ. კანი მეტად მნიშვნელოვან და ყოვლისმომცველ განმარტებას იძლევა „**მასალათმცოდნეობა წარმოადგენს კვლევების ვრცელ არეს. მასალათმცოდნე უნდა მუშაობდეს მატერიის ორგანიზაციის რამდენიმე დონეზე** (გულისხმობდა ატომურ-იონურიდან მაკრომდე), **რომელთაგან თითოეულს აძლიერებს წინა დონე**“.

როგორია მასალათმცოდნეობის მომავალი? მასალათმცოდნეობის მომავლის პროგნოზირებისას ბატონი კანი იხიარებს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (ნობელის პრემიის სამჭედლო) მასალათმცოდნეობის პროფესორის მერტონ ფლემინგის მოსაზრებას. ის სვამს კითხვებს: „რას უქადის მომავალი მასალათმცოდნეობის კათედრებს?“. შეძლებს სამეცნიერო მიმართულება ერთდროულად იყოს მრავალდისციპლინური (რომელიც აერთიანებს მრავალ კლასიკურ დისციპლინას) და ამავე დროს დამოუკიდებელი დისციპლინა? მისი შეხედულებით მასალათმცოდნეობა და ინჟინერია აერთიანებს ორივე ვარიანტს. **დილემის გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში, რომ ვაღიაროთ დისციპლინად ყოველმხრივი ტექნიკური შესწავლა სტრუქტურის, თვისებების, დამუშავებისა და მასალების გარეგან სახეს შორის არსებული კავშირებისა, აქცენტით ინჟინერიაზე...** შემდეგ ფლემინგსი ამატებს: „**სიცოცხლისუნარიანობა მასალათმცოდნეობისა, როგორც დისციპლინისა, აგრეთვე სიცოცხლისუნარიანობა მასალათმცოდნეობის კათედრებისა უნივერსიტეტების სისტემაში დამოუკიდებელია იმაზე, თუ რამდენად წარმატებული ვიქნებით ამ პარადიგმის დახვეწასა და საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენებაში**“.

ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხია გაცემული. ამასთან, ვითვალისწინებთ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თვალსაზრისს საქართველოში „სახელობის“ აღნიშვნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ და მოგიწოდებთ მიიღოთ გადაწყვეტილება „სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის“ დასახელების შეცვლის შესახებ. გთავაზობთ დასახელებას - „**სსიპ-ფერდინანდ თავაძის სახელობის მასალათმცოდნეობისა და მასალათ ინჟინერიის ინსტიტუტი**“. ამ ცვლილებით აღდგება მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად მთავრობის მიერ მინიჭებული სახელდება. დანართი #3. ამასთან დასახელება - **მასალათმცოდნეობა და მასალათ ინჟინერია** - ხელს შეუწყობს დაამყაროს წონასწორობა კვლევების ფუნდამენტურ და გამოყენებით სფეროებს შორის. იგი გავლენას არ ახდენს ამაჟამად მიმდინარე თემატიკის სამართლიანობაზე და ინსტიტუტის კვლევების მიმართულებების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. ამას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს (საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შედგენილი) შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორიც.

P S

მოვუწოდებ ინსტიტუტის სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო დარგის ყველა მუშაკს გაუფრთხილდეს ინსტიტუტის პროფესიულ ხარისხსა და პრესტიჟს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიმაჩნია:

1. ინსტიტუტში აკადემიური მიუკერძოებლობის პრინციპის დახვეწა;
2. ინტელექტუალური სივრცის გაჯანსაღება - კრიტიკული და შემეცნებითი აზროვნების პროგრესირება
3. სწორი იდეის სამართლიანი და ეფექტური „შეფუთვა“.

კოლეგები თუ არ გვეთანხმებიან, ჯიუტად არ დავიწყებთ საწინააღმდეგოს მტკიცებას... ჩვენი აზრით, პირდაპირ დასმულ, მაგრამ ნათლად გაშუქებულ საკითხებზე ობიექტურ ვერდიქტს გამოიტანს და დაამტკიცებს უმაღლესი საკონტროლო ინსტიტუტი - დრო.

პატივისცემით ომარ შურაძე

31.05.2021

1. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
2. სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
3. ი. გოგებაშვილის სახელობის პრდაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ცენტრი;
4. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი;
5. სსიპ გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
6. აკადემიკოს ლეო დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის);
7. პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
8. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი;
9. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის);
10. ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი;
11. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;
12. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
13. გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
14. ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
15. ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
16. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ცენტრი;
17. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
18. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯამრთელობის ეროვნული ცენტრი;
19. კ. ქუთათელაძის სახელობის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსება

1935 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალის ქიმიის ინსტიტუტში გაიხსნა მეტალურგიის განყოფილება, რომელიც პირველი კვლევითი ხასიათის ცენტრი იყო ამ დარგში. ორიოდე წლის შემდეგ განყოფილება დამოუკიდებელ ერთეულად - მეტალურგიის ლაბორატორიად გადაკეთდა და მისი მეცნიერული ხელმძღვანელობა ცნობილ მეცნიერ-მეტალურგს აკად. ბაიკოვს ეთხოვა.

1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი პეტრე მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის მეტალურგიის ლაბორატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა მრავალ-პროფილიანი ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად აკადემიის საერთო კრებამ აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რაფიელ აგლაძე.

1951 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს და, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა (1989), ამავე ინსტიტუტის ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის გამგე პროფ. აკად. ფერდინანდ თავაძე.

1956 – 1959 წლებში ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს გამოეყო:

1956 წ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი;

1957 წ. სამთო განყოფილება (ამჟამად სამთო მექანიკის ინსტიტუტი);

1958 წ. ცეცხლგამძლე მასალების ლაბორატორია (თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი);

1959 წ. მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი (ამჟამად მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი).

1957 წელს, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს მეტალურგიის ინსტიტუტი ეწოდა.

1972-1990 წლებში ინსტიტუტის დასახელება იყო: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სსრკ 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი“.

სამეცნიერო მიმართულებების ცვლელების შესაბამისად ინსტიტუტს ეწოდა:

1990 – 2002 წწ-ში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტი;

2002- 2006 წწ-ში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი.

2006 - წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის # 58 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად ინსტიტუტის დასახელებაა „სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“.

ინსტიტუტი 1990 წლიდან ფერდინანდ თავაძის სახელს ატარებს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 8 ივნისის #313 დადგენილება).

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭო



СОВЕТ МИНИСТРОВ
ГРУЗИИ



დადგენილება
ПОСТАНОВЛЕНИЕ

№ 313

8 ივნისი 1990 წ.

მ. თბილისი

г. ТБИЛИСИ

აკადემიკოს ფ. ნ. თავაძის ბსოვნის უკვდავოების
შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-
დიუმის შუამდგომლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკა-
დემიკოსის ფერდინანდ ნესტორის ძე თავაძის ბსოვნის უკვდავოების
შესახებ და:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს ფ. ნ. თავაძის საბელი საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს.

2. ძალადაკარგულად ჩაიდგალოს „საქართველოს სსრ მთწინავე
საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და კოლექტივებისათვის
სსრ კავშირის 50 წლისთავის საბელის მინიჭების შესახებ“ საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 დეკემბრის № 604 დადგენილების
ბოლო აბზაცი: - „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტა-
ლურგიის ინსტიტუტს“.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მ. ა. დ. გ. ი. კვიციანი



საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საკმეთ. მმართველი ზ. მათაბრაძე